საქართველოს ბანკი

OCSC19380362
22/11/2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს ბანკი" თანახმაა უძრავ ნივთზე ს/კ:01.13.03.052.007 მისამართზე ქ.თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი 123, განხორციელდეს შენობების N 27/1, 29/1, 30/1, 31/1, 32/1, 33/1, 22/1 დემონტაჟი გადაწყვეტილების # **4749465** შესაბამისად და მათ ადგილზე მოხდეს ახალი შენობების აშენება.

პატივისცემით,

ირაკლი კერესელიძე

ბიზნეს ბანკირი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18052895028419

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190792278

რეგისტრაციის თარიღი

05.07.2019 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს 'საქართველოს ბანკი'-ს სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა **მიხეილ გომართელმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს 'საქართველოს ბანკი'-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მიერ 2016 წლის 21 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 161218152 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **მიხეილ გომართელმა,** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ირაკლი კერესელიძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მიხეილ გომართელის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მიხეილ გომართელმა (დაბადებული 31.07.1975წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, პასპორტის ტიპი P, ქვეყნის კოდი GEO, პასპორტის #07PA89537, გაცემული იუსტიციის სამინისტრო/დიდუბე-ჩუღურეთის მიერ 16.07.2008წ. მცხოვრები თბილისში, აგლაძის ქ.#38, ბინა #75) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **მიხეილ გომართელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი მიხეილ გომართელი

რწმუნებულება

მე, სს 'საქართველოს ბანკი'-ს გენერალური დირექტორის მოადგილე **მიხეილ გომართელი** (შემდგომში - მარწმუნებელი), ვანიჭებ უფლებამოსილებას **ირაკლი კერესელიძის** (პ/ნ: 01008026182 შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს 'საქართველოს ბანკი'-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) სახელით:

1. ხელი მოაწეროს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას(ებს) ულიმიტოდ.
2. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში **მარწმუნებლის** მიერ გასაცემ კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის გაცემასთან დაკავშირებულ შესაბამის საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს)/დოკუმენტ(ებ)ს.
3. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში **მარწმუნებლის** მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს)/დოკუმენტ(ებ)ს .
4. ხელი მოაწეროს გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სხვა სახის ხელშეკრულებას(ებს)/შეთანხმებას(ებს)/გარიგებას(ებს)/დოკუმენტ(ებ)ს.
5. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ კლიენტი-კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილობით დოკუმენტაციას.
6. ხელი მოაწეროს ბანკის კორესპონდენციას (შემომავალ და გამავალ წერილებს), რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობასთან.
7. ხელი მოაწეროს სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში წარსადგენ გირავნობის ხელშეკრულებებს და მასთან, ასევე გირავნობის მოხსნასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
8. ხელი მოაწეროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყველა ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში წარსადგენ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებს და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
9. ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას.
10. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებისას.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე